უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 37

20 19 წ. „27“ 09

ქ. თბილისი

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელს (ს/კ:404916203) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 27 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ECTS	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1.	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N18 (18.01.2019)
2.	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში	240	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N130 (13.06.2019)
3.	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	ავტორიზებული	